



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

## თანამშრომლობის პრობლემა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში: რას ითხოვს ამომრჩეველი?

ნინო სამხარაძე<sup>1</sup>

### მოკლე შინაარსი

ბოლო დროს, საქართველოში გააქტიურდა დისკუსია კოალიციური მმართველობის საჭიროების შესახებ. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ერთპარტიული მართვის გამოცდილების და გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისების ფონზე, რასაც ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესი ჩიხში შეჰყავს. თუმცა, კოალიციურ მმართველობაზე საუბარი არარეალისტური იქნება პარტიათაშორისი თანამშრომლობის წარმატებული პრეცედენტის გარეშე. ამის ნიშნები, ჯერ-ჯერობით არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების მიხედვით, ამომრჩეველი საქართველოში პარტიათაშორისი თანამშრომლობის მომხრეა, განურჩევლად პარტიული კუთვნილებისა.

პარტიების რადიკალურ დღის წესრიგსა და საზოგადოებრივ განწყობებს შორის ამ აცდენას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებს. მათ შორის, ლიდერზე მორგებული, პერსონალიზებული პარტიული სტრატეგიები, პატარა პარტიების დომინანტ ძალებთან აფილირების შიში და პარტიული კონკურენციის ნულოვან-ჯამური პრინციპი. თავის მხრივ, პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ მოსახლეობის და პარტიების ხედვის აცდენა დამატებით პრობლემებს წარმოშობს ქართული პოლიტიკური სისტემისთვის: პოლიტიკური გარემო კიდევ უფრო რადიკალური ხდება და დერადიკალიზაციის პერსპექტივები არსად ჩანს. გარდა ამისა, ამგვარ პოლიტიკურ ბრძოლაში შესული პარტიები ვეღარ პოულობენ რესურსს, რომ ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს კონკრეტული იდეოლოგიური ხედვის ფარგლებში კომპეტენტურად უპასუხონ. შედეგად, შესაძლოა, უფრო და უფრო შემცირდეს ნდობა პოლიტიკური პარტიებისადმი, რაც, თავის

<sup>1</sup> საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის უმცროსი ანალიტიკოსი;

მხრივ, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების ლეგიტიმაციას მოსახლეობის მხრიდან კიდევ უფრო შეამცირებს.

წარმოდგენილ პოლიტიკის ნარკვევში გაანალიზებულია ის ძირითადი ფაქტორები, რის გამოც პარტიები ვერ ან არ პასუხობენ საზოგადოების დაკვეთას პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ. ასევე, გამოკვეთილია ის პრობლემები, რასაც იწვევს პარტიების დღის წესრიგის აცდენა მათი ამომრჩევლის საჭიროებებთან. და ბოლოს, შეთავაზებულია რეკომენდაციები პოლიტიკური პარტიებისთვის, რათა მეტად მოხდეს პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ მათი ხედვის დაახლოება ამომრჩევლის პრეფერენციებთან და, შედეგად, ხელი შეეწყოს კოალიციური მმართველობის რეალური პერსპექტივების გაჩენას საქართველოში.

**საკვანძო სიტყვები:** კოალიციური მმართველობა, პარტიათაშორისი თანამშრომლობა, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი აზრი

## შესავალი

საქართველოში, ბოლო დროს, ხშირად მიმდინარეობს საუბარი ქვეყნის დემოკრატიზაციის უკუსვლაზე, რომლის ერთ-ერთ მთავარ გამომწვევ მიზეზად სახელდება თანამშრომლობის პრობლემა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის. 2018, 2020 და 2021 წლების არჩევნებს თან სდევდა პოლიტიკური გარემოს რადიკალიზაცია, პარტიებს შორის უკომპრომისო დაპირისპირება და გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისი. მოვლენათა ამგვარ განვითარებას ქვეყანა შეუქცევადად შეჰყავს ჩიხში, საიდანაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კომპეტენტური მუშაობა ვეღარ ხერხდება. დემოკრატიული პროცესების შესუსტების ფონზე, კიდევ უფრო გამოიკვეთა პარტიებს შორის კონსენსუსის მნიშვნელობა საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, შემდგომი განვითარებისთვის. პარტიებს შორის გარკვეულ საერთოეროვნულ საკითხებზე კონსენსუსის მიღწევა აძლიერებს ძლიერი კოალიციური მმართველობის პერსპექტივებს, რაც აუცილებელია ქვეყნის მომწიფებულ დემოკრატიად ჩამოყალიბებისთვის.

მიმდინარე გრძელვადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ პოლიტიკურ პარტიებსა და მათ მხარდამჭერებს შორის არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები პარტიებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივების გარშემო. პოლიტიკური კონსოლიდაცია და პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსზე დაფუძნებული პარტიათაშორისი თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხების შესახებ საზოგადოების დაკვეთა (NDI 2022). პოლიტიკური კლასი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს და, ზოგიერთ შემთხვევაში, ამომრჩევლის ნების საწინააღმდეგოდაც კი მოქმედებს. რადგანაც პარტიები ვერ ან არ პასუხობენ ამომრჩევლის დაკვეთას ერთმანეთთან კონსენსუსზე დაფუძნებული თანამშრომლობის კულტურის შესახებ, შედეგად, ქვეყანაში იქმნება დაპირისპირებათა ჩიხი არა მხოლოდ პარტიებს, არამედ პარტიებსა და მათ ამომრჩევლებს შორის.

ამიტომ, სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე, საჭიროა, გააქტიურდეს დისკუსია იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს საზოგადოებრივი აზრისა და პარტიების სტრატეგიების აცდენას, რა პრობლემებს წარმოქმნის პარტიების მხრიდან საკუთარი ამომრჩევლის ხედვის იგნორირება და რაშია გამოსავალი.

## რატომ შორდებიან პარტიები ამომრჩევლის პარტიათაშორისი თანამშრომლობის დაკვეთას?

შემდგარ ან გარდამავალ დემოკრატიებში ძლიერი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი საკვანძო მახასიათებელია ის, თუ რამდენად პასუხობენ პოლიტიკური პარტიები ამომრჩევლის განწყობებს და საჭიროებებს (Ibenskas & Polk 2021). ყოველ პარტიას ინდივიდუალური პლატფორმის მიხედვით საკუთარი ამომრჩეველი ჰყავს. თუმცა, პოსტსაბჭოთა გარდამავალ დემოკრატიებს, როგორც საქართველო, გააჩნიათ რამდენიმე


სპეციფიკური მახასიათებელი (Kitchelt 2007), რის გამოც ასეთ ქვეყნებში პარტიების სამოქმედო სტრატეგიები აცდენილია საზოგადოებრივ განწყობებს და ისინი საკუთარი ამომრჩევლის მოლოდინებს ვერ პასუხობენ. საქართველოს შემთხვევაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად პასუხობენ პარტიები საკუთარი ამომრჩევლის განწყობებს პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) 2021 წლის დეკემბრის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, პარტიებს შორის კონსენსუსზე ორიენტირებული დიალოგის შესახებ პოლიტიკური პარტიების და მათი ამომრჩევლის ხედვები ერთმანეთთან სუსტ თანხვედრაშია (NDI 2022). განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, მოსახლეობის საკმაოდ დიდი უმრავლესობა (80%) პარტიათაშორის თანამშრომლობას ელის იმ შემთხვევაშიც კი, თუ ზოგიერთი პარტიის ქმედებები ან მოსაზრებები ამომრჩევლისთვის მიუღებელია (გრაფა 1). პოლიტიკური ელიტა საქართველოში ამ განწყობებს ყურადღებას ნაკლებად აქცევს და ხშირად გამოკითხვის შედეგების პოლიტიზებასაც ახდენს (Gillam 2021; GIP 2020). პარტიები საკუთარ პოლიტიკურ სტრატეგიას იმ წითელი ხაზებით განსაზღვრავენ, რაც, შესაძლოა, მოსახლეობისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს (Samkharadze 2020b). აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რა ფაქტორების გამო იკავებენ პარტიები თავს, უპასუხონ საკუთარი ამომრჩევლის დაკვეთას და მეტი მზაობა ჰქონდეთ საერთოეროვნულ საკითხებზე თანხმობისთვის.

**გრაფა 1. საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის დეკემბერი.**

**პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მოქალაქეები თანხმდებიან, რომ პარტიათაშორისი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია**

წარმოდგინეთ, რომ არსებობს პარტია, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო მოგწონთ. ეთანხმებით თუ არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ თქვენმა რჩეულმა პოლიტიკურმა პარტიამ პარლამენტში მყოფ ყველა სხვა პარტიასთან უნდა ითანამშრომლოს, თუნდაც ზოგიერთი პარტიის ქმედებები ან მოსაზრებები თქვენთვის მიუღებელი იყოს? (q24 X დასახლების, ასაკისა და პარტიული მხარდაჭერის მიხედვით)



წყარო:

[https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fruit4N68-grEeyXDZp8qMZEft\\_nf-nlmGsH7lix6FOKgWf9v5xEU72M0](https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fruit4N68-grEeyXDZp8qMZEft_nf-nlmGsH7lix6FOKgWf9v5xEU72M0)

პირველი ასეთი ფაქტორი არის ის, რომ საქართველოში პარტიული სისტემა მუშაობს ერთგვარი ნულოვანი ჯამური თამაშის მექანიზმით. მაგალითისთვის, არჩევნებში დამარცხებული პარტია სახელისუფლებო ძალაუფლებასთან ერთად კარგავს საკმაოდ დიდ რესურსს, რაც პარტიის შემდგომი არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. როგორც საქართველოს უახლესი ისტორია გვაჩვენებს, ხშირად ასეთი პარტიები ან საერთოდ ქრებიან პოლიტიკური ველიდან, ან იმდენად სუსტდებიან, რომ მმართველი ძალის ჩანაცვლების რესურსები, ფაქტობრივად, აღარ გააჩნიათ (Bolkvadze 2021). ამგვარი არასაიმედო პოლიტიკური სისტემა პარტიებს უბიძგებს, ყურადღება პოლიტიკურ გადარჩენაზე ან ხელისუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნებაზე გააკეთონ. შედეგად კი, საკუთარი ამომრჩევლის რეალური დაკვეთა კვლავ ყურადღების მიღმა რჩება.


მეორე შემაფერხებელ ფაქტორად შეიძლება მოვიანოთ ქართული პოლიტიკის პერსონაზე მორგებული ხასიათი. პარტიებს უჭირთ კონკრეტულ ლიდერზე მორგებული დღის წესრიგისგან თავის დაღწევა, რადგან ასეთ დროს ლიდერები საკუთარ თავზე არიან ორიენტირებული (Bertoa 2021; Samkharadze 2021a). პარტიულ სპექტრში განსაკუთრებით გამოკვეთს ორპოლუსიანობას მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის ფაქტორები: ისინი იმდენად ძლიერ მიზიდულობის ცენტრებად ითვლებიან ქართულ პოლიტიკაში, რომ პარტიების დღის წესრიგში ამომრჩევლის პრეფერენციების გადაფარვას, ერთგვარ „პარტიების მიტაცებას“ იწვევენ (Enyedi 2021; Sharashenidze 2021). ამგვარად, განსაკუთრებით დომინანტი პარტიების სტრატეგიების კონკრეტულ პერსონაზე დაფუძნებული ხასიათი ხელს უშლის სხვა მოთამაშეებს, თამამად ჩაერთონ კონსენსუსურ პოლიტიკურ პროცესში გარკვეული დათმობების სანაცვლოდ (Minesashvili 2021; Samkharadze 2021a).

მესამე ფაქტორი, რის გამოც პარტიები ვერ ახერხებენ ამომრჩევლის დაკვეთას უპასუხონ და ეფექტიანი თანამშრომლობითი გარემო შექმნან, არის ავტორიტეტული მედიატორის ფაქტორი. პრობლემაა ის, რომ ერთი შეხედვით ავტორიტეტული შუამავალიც კი ვერ ახერხებს ქართულ პოლიტიკურ პარტიებთან წარმატებულად მუშაობას. 2021 წლის დასაწყისში წამოჭრილი პოლიტიკური კრიზისის დროს ეს როლი თავის თავზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა აიღო. მან გარკვეულ ეტაპზე წარმატებასაც მიაღწია და პოლიტიკურმა პარტიებმა ე.წ. 19 აპრილის შეთანხმებასაც მოაწერეს ხელი, თუმცა რამდენიმე თვეში ეს შეთანხმება გაუქმდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული პოლიტიკური ელიტისთვის რთულად მოიძებნება ისეთი ავტორიტეტი, რომელიც შეძლებს და სტაბილურ შედეგს უზრუნველყოფს პარტიებს შორის გარკვეული თანხმობის მიღწევის პროცესში. თუკი ამ მიმართულებით ქართველი ამომრჩევლის აზრსაც შევხედავთ, ვნახავთ, რომ დასავლელ პარტნიორებს მოდერატორის როლში, ძირითადად, ოპოზიციის და გადაუწყვეტელი ამომრჩეველი ხედავს. მმართველი ქართული ოცნების მხარდამჭერებისთვის კი თავად პარტიებივე უნდა იყვნენ წამყვანი მოთამაშეები (გრაფა 2).

**გრაფა 2. საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის დეკემბერი.**

**მოსახლეობის უმრავლესობა მთავრობასა და ოპოზიციას შორის მოდერატორის როლში ადგილობრივ მოთამაშეებს ხედავს**

ოპოზიციურ პარტიებსა და მმართველ პარტიას დღეს ბევრ საკითხთან დაკავშირებით უჭირთ დიალოგი და შეთანხმების მიღწევა. თქვენი აზრით, ასეთ სიტუაციაში, ყველაზე კარგად ვინ შეასრულებდა შუამავლის და შემრიგებლის როლს? (q26 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?)



წყარო:

[https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fuit4N68-grEeyXDZp8qMZEft\\_nf-nlmGsH7lix6FOKgWF9v5xEU72M0](https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fuit4N68-grEeyXDZp8qMZEft_nf-nlmGsH7lix6FOKgWF9v5xEU72M0)

მეოთხე ფაქტორი კი შეეხება კონკრეტულად პატარა პარტიებს, რომლებსაც შესაძლოა, ჰქონდეთ შიში, რომ რომელიმე დომინანტ ძალასთან თანამშრომლობაში შესვლის შემდეგ ამომრჩეველში მათი სტიგმატიზაცია მოხდება, რაც რელიევანტური რისკია განვითარებული დემოკრატიებისთვისაც კი (Rossiter 2021; Zurabashvili 2021). ამიტომ, ხშირად რთულდება პარტიებს შორის შეთანხმების მიღწევა ისეთ საკითხებზე, როგორცაა, მაგალითად, ოპოზიციის საპარლამენტო ბოიკოტი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. „ევროპული საქართველოს“ მაშინდელი ლიდერის, გიგი უგულავას თქმით, „დღეს პარლამენტში შესვლა „ქართულ ოცნებაში“ შესვლას ნიშნავს“ (Tskipurishvili 2020). რადიკალურად განწყობილი ამომრჩევლის დაკარგვის შიშით, პატარა პარტიებს უჭირთ, ისეთი გადაწყვეტილებები მიიღონ, რაც პოტენციურად მათ რომელიმე ძალასთან აფილირებას გამოიწვევს. შესაბამისად, ინტერპარტიული თანამშრომლობისთვისაც სივრცეები იზღუდება.

## საზოგადოებრივი დაკვეთა პოლიტიკური დღის წესრიგის პირისპირ: რა პრობლემებს ქმნის ეს სახელმწიფოსთვის?

ზემოთ აღწერილი მოცემულობა იმაზე მიუთითებს, რომ ქართული პოლიტიკური სისტემა ჯერ არ მომწიფებულა საკმარისად იმისთვის, რომ საკუთარი ამომრჩევლის დაკვეთის თანახმად მეტად ორიენტირდეს პარტიათაშორის თანამშრომლობაზე. შედეგად, ქვეყანა ქართული სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე რამდენიმე საკვანძო მნიშვნელობის პრობლემის წინაშე დგება.


ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რასაც პარტიების და ამომრჩევლის ხედვების აცდენა იწვევს, არის პოლიტიკური ველის უფრო და უფრო რადიკალიზება. პარტიები არ გამოხატავენ კეთილ ნებას, რომ უკომპრომისო რიტორიკა დააბალანსონ და ასე შევიდნენ ჯანსაღ პოლიტიკურ კონკურენციაში სხვა პარტიებთან. შესაბამისად, პოლიტიკური ველი რჩება მუდმივად რადიკალიზებული და პოლარიზებული, მათ შორის, საერთაშორისო შეფასებებითაც (OSCE 2018, 2020, 2021). პარტიებისთვის შედარებით კომფორტულია ერთგვარ რევანშიზმზე და კონკურენტის განადგურებაზე დაფუძნებული პარტიული სტრატეგიის არჩევა (Tsutskiridze 2021).

თავის მხრივ, რაც უფრო რადიკალიზებული და ტოქსიკურია პოლიტიკური გარემო, მით უფრო შორდება პოლიტიკური პროცესი საზოგადოების რეალურ საჭიროებებს და წლების განმავლობაში პარტიებსა და ელექტორატს შორის მოთხოვნა - მიწოდებას შორის განსხვავება გაიზარდა (Lebanidze 2021). შედეგად, პოლიტიკური დისკუსიის მიღმა რჩება ის ფართო პრობლემები, რომლებიც საზოგადოებისთვის ქვეყნის მთავარ გამოწვევებად მოიაზრება, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა (გრაფა 3). შედეგად, პარტიები ვერ ახერხებენ, სხვადასხვა საერთოეროვნულ საკითხებზე საკმარისად კონცენტრირდნენ და გარკვეული თანხმობისკენ წაიყვანონ პოლიტიკური პროცესი საქართველოში.

**გრაფა 3. საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2021 წლის დეკემბერი.**

**მოქალაქეები თანხმდებიან ქვეყნის მთავარ გამოწვევებზე, პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად**

რომელი ეროვნული დონის საკითხებია თქვენთვის და თქვენი ოჯახისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი? გთხოვთ, მითხრათ არაუმეტეს სამი პასუხისა. (q5 X რომელი პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს?)



წყარო:

[https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fruit4N68-grEeyXDZp8qMZEft\\_nf-nlmGsH7lix6FOKgWf9v5xEU72M0](https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fruit4N68-grEeyXDZp8qMZEft_nf-nlmGsH7lix6FOKgWf9v5xEU72M0)


ამავდროულად, გამუდმებით ტოქსიკური და არასაგნობრივი პოლიტიკური ბრძოლის პარალელურად, პარტიებს არ ჰყოფნით რესურსი და არ აქვთ კეთილი ნება, რომ უფრო მეტი ძალისხმევა მიმართონ იდეოლოგიური იდენტობის მშენებლობისკენ. საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევით დასტურდება, რომ პარტიების იდეოლოგიური ნიშა საკმაოდ მკრთალია, იშვიათი გამონაკლისების გარდა. პარტიები ხშირად არ შედიან საგნობრივ დებატში ერთმანეთთან საჯაროდ (GPB 2021; Radiotavisupleba 2021), და შესაბამისად ვერ აყალიბებენ ერთმანეთს შორის მკაფიო გამმიჯნავ ხაზებს ამომრჩევლის თვალში. პარტიის ოფიციალურად გაცხადებული იდეოლოგიური ხედვა, შესაძლოა, მკვეთრ აცდენაშიც კი მოდიოდეს მისივე ამომრჩევლის საჭიროებებთან (FES 2021). საქართველოში პარტიებს ნაკლებად აქვთ იმის განცდა, რომ თუკი მათი იდეოლოგიური ხედვა წინააღმდეგობაში მოვა ამომრჩევლის საჭიროებებთან, ისინი მხარდამჭერებს, და, შესაბამისად, ელექტორალური წარმატების შანსს დაკარგავენ (Tsutskiridze 2021).

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პოლიტიკური დიალოგის მიმართ ამომრჩევლის და პარტიების ხედვების აცდენამ, შეიძლება გამოიწვიოს მათ შორის გაუცხოების გაღრმავება, ერთგვარი ნდობის პოლარიზება, ამომრჩეველთა ჩამოშორება პოლიტიკური პროცესებისგან (Lebanidze 2021). ზოგადად, ბოლო წლების განმავლობაში, პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა მცირდება, უნდობლობა კი იზრდება (გრაფა 4). იმედგაცრუებული ამომრჩევლის პირობებში, პარტიები ამომრჩევლის ნდობას იმდენად კარგავენ, რომ ძლიერი და სტაბილური ოპოზიციური პარტიებიც კი ვერ ახერხებენ ხელისუფლების მშვიდობიანი



გზით, ამომრჩევლის მაღალი და დამაჯერებელი ლეგიტიმაციით შეცვლას. რაც, თავის მხრივ, პრობლემაა კონსოლიდირებული დემოკრატიის მშენებლობის გზაზე.

**გრაფა 4: დროითი მწკრივი - ნდობა პოლიტიკური პარტიების მიმართ**



წყარო: <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/TRUPPS/>

ამგვარად, პარტიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ განსხვავებული ხედვები თავად პარტიებს და მათ ამომრჩეველს შორის არაერთ პრობლემას წარმოქმნის სახელმწიფოსთვის. მათ შორის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პოლიტიკური ველი რადიკალიზაციის ჩარჩოებიდან ვერ გამოდის. ამიტომ ხდება საზოგადოების საჭიროებებისგან ფოკუსის სხვა მიმართულებით მიმართვა, რაც, თავის მხრივ, იდეოლოგიისგან დაცლილ პოლიტიკურ სისტემას გვაძლევს. ამ ყველაფრის შედეგად კი არსებობს რისკი, რომ საზოგადოების პარტიების მიმართ ისედაც კლებადი ნდობა კიდევ უფრო შემცირდეს და ჯანსაღ დემოკრატიულ პოლიტიკურ პროცესს კიდევ უფრო მეტი პრობლემა შეექმნას საქართველოში.

## რატომ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკური კლასის და ამომრჩევლის დაახლოება და როგორ უნდა მოხდეს ეს?

როგორც საერთო სურათიდან ჩანს, პარტიათაშორისი კონსენსუსის მიმართ მოთხოვნილება ამომრჩეველში არსებობს, თუმცა, საზოგადოების დაკვეთის საწინააღმდეგოდ, პარტიები ვერ ახერხებენ შედეგიან და გრძელვადიან კონსოლიდაციას. დროდადრო აქტიურდება დისკუსია კონკრეტული მიზნით პარტიათაშორისი გაერთიანებების და კოალიციური მმართველობის პერსპექტივებზე, თუმცა, საბოლოო ჯამში, შეთანხმებულ მოქმედებას ხელს უშლის პარტიების უკომპრომისო, რადიკალური და სიძულვილზე დაფუძნებული დღის წესრიგი. მოცემული სურათის შესაცვლელად და იმისთვის, რომ პარტიები მეტად დაუახლოვდნენ საკუთარ ამომრჩეველს, აუცილებელია, რომ მათ საკუთარი სტრატეგია საზოგადოების განწყობების მიხედვით გადააფასონ და მეტი ყურადღებით მოეკიდონ იმას, თუ რას კარნახობს პარტიებს ამომრჩეველი.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია საკუთარი წითელი ხაზების სწორად განსაზღვრა. ხშირ შემთხვევაში, მოლაპარაკებების მაგიდასთან პარტიები წითელ ხაზებს განსაზღვრავენ საკუთარი ვიწროპარტიული ინტერესებით და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ, ან საერთოდ უგულებელყოფენ საზოგადოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ეროვნულ გამოწვევებს (გრაფა 2). იმისთვის, რომ პარტიებმა შეძლონ და, რაც შეიძლება, სწრაფად გამოიყვანონ ჩიხიდან გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისი, მნიშვნელოვანია, რომ პარტიების დღის წესრიგში, ვიწროპარტიული ამოცანების ნაცვლად (Tsutskiridze & Kvashilava 2021), პრიორიტეტულად იქცეს იგივე საკითხები, რაც საზოგადოებას მიაჩნია ქვეყნის ყველაზე მთავარ გამოწვევად. გამომდინარე იქიდან, რომ წლიდან წლამდე ეროვნული პრობლემები მოსახლეობის აღქმაში ძირითადად, იგივე რჩება (Caucasusbarometer 2022), ეს პოლიტიკური კლასისთვის იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ მათგან საზოგადოება უფრო ძლიერ და საგნობრივ რეაგირებას მოითხოვს.

მოსახლეობის უმრავლესობის აზრით, პარტიებს შორის გაჭიანურებული შეუთანხმებლობის მოგვარება უნდა მოხდეს თავად პარტიებისვე ძალისხმევით (34%) ან რომელიმე სხვა შიდა აქტორის შუამავლობით (16%). მხოლოდ 18% ელის ხელახალ ჩართულობას დასავლელი აქტორების მხრიდან (NDI 2022). ეს მონაცემები პარტიებისთვის უნდა იყოს სიგნალი, რომ საზოგადოება მათგან ყველაზე მეტს ითხოვს, როცა საქმე კონსენსუსზე ორიენტირებული პოლიტიკური პროცესების წარმართვას შეეხება, და პარტიული კუთვნილება აქაც ნაკლებად ახდენს მნიშვნელოვან გავლენას (გრაფა 4). ამისთვის, მათ სჭირდებათ, რომ აღიარონ საკუთარი ოპონენტების არსებობის და მათი მოსაზრებების ლეგიტიმურობა და უარი თქვან რადიკალურ დამოკიდებულებაზე ერთმანეთის მიმართ (Tsutskiridze & Kvashilava 2021), რაც მოთხოვნად რჩება ყველა დომინანტური პარტიის ამომრჩეველს შორის.

ეს მონაცემები, ეჭვქვეშ აყენებს მოსაზრებას, რომ პოლიტიკური პოლარიზაციის რადიკალური ხასიათი საზოგადოების მოთხოვნილებების შედეგია. თუკი პარტიებს შორის დაპირისპირების სიმძიმის ცენტრი მიმართულია კონკურენტების მუდმივი

შევიწროებისკენ ან მათი პოლიტიკური განადგურებისკენ, ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს ფონი შერბილდეს და პარტიების რესურსები მეტად კონცენტრირდეს თანამშრომლობაზე. შესაბამისად, ქართულ პოლიტიკურ პარტიებს მოეთხოვებათ, რომ რადიკალური, უკომპრომისო და ზოგჯერ პიროვნულ ზიზღზე დაფუძნებული რიტორიკა შეარბილონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიათაშორისი შეთანხმების და კონსოლიდაციის შანსები ქართულ პოლიტიკურ ელიტას უფრო და უფრო შეუმცირდება. შედეგად, ეს გამოიწვევს ქვეყნის პოლარიზაციის მუდმივ ჩიხში ყოფნას და პოლიტიკური კლასის კიდევ უფრო დაშორებას საკუთარი ამომრჩევლის რეალური საჭიროებებისგან.

მთლიანობაში, მიუხედავად ამ წინააღმდეგობისა, ქართულ პოლიტიკურ ელიტას სწრაფად სჭირდება იდეოლოგიური ხედვებისა და პრაქტიკული სტრატეგიების ფუნდამენტური გადახედვა, რათა ისინი მაქსიმალურად მოარგონ საზოგადოების რეალურ დაკვეთასა და მოთხოვნილებებს (Tsutskiridze & Kvashilava 2021). წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის პოლიტიკური კრიზისის ჩიხიდან გამოსვლა კიდევ უფრო მეტად გაჭიანურდება, რაც, საბოლოო ჯამში, გარდამავალი ჰიბრიდული რეჟიმიდან კონსოლიდირებული დემოკრატიისკენ სვლას კიდევ დიდი ხნით შეაფერხებს.

## დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოში საზოგადოებრივი განწყობების ბოლოდროინდელი კვლევები აჩვენებს, რომ ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში პარტიათაშორისი თანამშრომლობის წარმატებული პრეცედენტები შეიქმნას, რაც ხელს შეუწყობს კოალიციური მმართველობის პერსპექტივების გაჩენას. თუმცა, არსებობს ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლის პარტიებს, ამ მიმართულებით ამომრჩევლის დაკვეთას უპასუხო. მათ შორისაა, ქართული პოლიტიკის ნულოვანი ჯამური პრინციპი, პერსონაზე მორგებული პარტიული დღის წესრიგები, პარტიების მხრიდან მედიატორის ავტორიტეტის უგულვებელყოფა და პატარა პარტიების დიდ პარტიებთან აფილირების რისკები ამომრჩეველში.

თავის მხრივ, ეს მოცემულობა დამატებით რისკებს აჩენს სახელმწიფოსთვის: პოლიტიკური გარემო უფრო რადიკალურ ხასიათს იძენს, შედეგად კი პარტიები ფოკუსირებას ვერ ახდენენ და კიდევ უფრო დისტანცირდებიან საკუთარი ამომრჩევლის რეალური ინტერესებისგან. საბოლოო ჯამში კი ამომრჩევლის ნდობა და დადებითი განწყობა პარტიების მიმართ მცირდება. იმისთვის, რომ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა თავიდან აიცილონ ამ ტენდენციის საზიანო შედეგები და მაქსიმალურად შეძლონ, უპასუხო საკუთარი ამომრჩევლის დაკვეთას, აუცილებელია, რომ:

- პოლიტიკური პარტიები პასუხისმგებლობით მოეკიდონ საზოგადოებრივი აზრის კვლევების შედეგებს და, ამის საფუძველზე, დაგეგმონ თვისებრივი და

რაოდენობრივი მოკვლევა კონკრეტულად მათი ამომრჩევლის რეალური დაკვეთის შესახებ;

- სხვა პარტიებთან თანამშრომლობის სტრატეგიები დააფუძნონ ამომრჩევლის შიდა კვლევების შედეგად გამოკვეთილ პრეფერენციებზე, რაც მათ ლეგიტიმაციას შეუქმნის, პოლიტიკურ დღის წესრიგში უფრო ძლიერად შემოიტანონ ამომრჩევლის დაკვეთა;
- პოლიტიკურმა პარტიებმა მაქსიმალურად შეამცირონ საზოგადოებრივი აზრის კვლევითი ორგანიზაციების დისკრედიტაციის მცდელობები და გაიაზრონ ამ ქმედების საზიანო შედეგები;
- პარტიებმა, დამოუკიდებელი კვლევების შედეგად, გამოკვეთონ ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებსაც, მათი ამომრჩევლის აზრით, დიდი როლი ექნება პარტიებს შორის თანამშრომლობის პროცესში;
- კვლევების და ქმედითი სტრატეგიების საფუძველზე, ხელახლა განსაზღვრონ საკუთარი წითელი ხაზები, თანხვედრაში მოიყვანონ ისინი ამომრჩევლის წითელ ხაზებთან; გამოკვეთონ, რისი დათმობა არის მისაღები ამომრჩევლისთვის მოლაპარაკებების მაგიდაზე კონკურენტი პარტიის პირისპირ, და რისი არა;
- ამომრჩევლის პრეფერენციებზე დაყრდნობით, დაიწყონ აქტიური მუშაობა იდეოლოგიური იდენტობის შესაქმნელად, საგნობრივი დისკუსიის გასააქტიურებლად, რაც ხელშემწყობ გარემოს შექმნის წარმატებული ინტერპარტიული თანამშრომლობისთვის;
- ყურადღებით შეისწავლონ და მაქსიმალურად გამოიყენონ შემდგარი დემოკრატიების გამოცდილებები წარმატებული ინტერპარტიული თანამშრომლობის პრეცედენტის შესაქმნელად საქართველოში;
- საერთაშორისო გამოცდილებების გააზრების და ინტერნაციონალიზაციის შედეგად, თავადვე იმუშაონ იმაზე, თუ ვის მოიაზრებს ამომრჩეველი ინტერპარტიული თანამშრომლობის პროცესში ავტორიტეტულ შუამავლად;
- მმართველმა პარტიამ სხვა პარტიებთან შესაძლო თანამშრომლობის სტრატეგია დაგეგმოს ორი მიზნით: უპასუხოს საკუთარი ამომრჩევლის დაკვეთას და უპასუხოს მთლიანად მოსახლეობის დაკვეთას; გაიაზროს, რომ ის ანგარიშვალდებულია მოსახლეობასთან, როგორც სახელმწიფოს ერთ მთლიან შემადგენელთან;
- მმართველმა პარტიამ გაააქტიუროს მუშაობა ისეთ დასავლურ პარტიებთან, რომლებიც საკუთარ ქვეყნებში კოალიციურ მმართველობაში არიან, გაიზიაროს მათი პრაქტიკული გამოცდილება;
- ოპოზიციამ სახელისუფლებო პარტიასთან შესაძლო თანამშრომლობის ფარგლებში, მაქსიმალურად იმოქმედოს ამომრჩეველთან კომუნიკაციის შედეგად გამოკვეთილი საგნობრივი პრობლემებით და პრაქტიკული საჭიროებებით, რაც პოლიტიკურ დღის წესრიგში შეიტანს ნაკლებად რადიკალიზებულ პოზიციებს.

## გამოყენებული ლიტერატურა

- Bertoa, Fernando Casal. 2021. Polarization and Fragmentation of Georgian Political Landscape: Implications for Democracy. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/publication-post/polarization-and-fragmentation-of-georgian-political-landscape-implications-for-democracy-expert-interview-with-dr-fernando-casal-bertoa/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;
- Bolkvadze, Ket. 2021. In GEODEM 2021 Conference Notes – Public Polls, Elections and Populism: Why Don't We Trust the Political Processes in Georgia? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/geodem-2021-conference-notes-public-polls-elections-and-populism-why-dont-we-trust-the-political-processes-in-georgia/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- Caucasusbarometer, 2022. ქვეყანაში არსებული პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა - დროითი მწკრივი 2008-2019. ხელმისაწვდომია: <https://caucasusbarometer.org/ge/cb-ge/IMPSSI/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- Enyedi, Zholt. 2021. Democratic Deficit in Party Political Systems – Expert Interview with Professor Zsolt Enyedi. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/ka/publication-post/democratic-deficit-in-party-political-systems-expert-interview-with-professor-zsolt-enyedi/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;
- FES. 2021. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი - მრავალფეროვნება, პოზიციების თანაკვეთა და თავისუფალი სივრცეები. ხელმისაწვდომია: <http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/18418.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- Gillam, Adam, 2021. In GEODEM 2021 Conference Notes – Public Polls, Elections and Populism: Why Don't We Trust the Political Processes in Georgia? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/geodem-2021-conference-notes-public-polls-elections-and-populism-why-dont-we-trust-the-political-processes-in-georgia/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- GIP, 2020. Polling Wars in Georgia: Can it Undermine Public Trust? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/polling-wars-in-georgia-can-it-undermine-public-trust/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- GIP, 2021. GEODEM 2021 Conference Notes – Public Polls, Elections and Populism: Why Don't We Trust the Political Processes in Georgia? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/geodem-2021-conference-notes-public-polls-elections-and-populism-why-dont-we-trust-the-political-processes-in-georgia/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- GPB. 2021. დებატები საქართველოს პირველ არხზე. ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/video/debatebi-saqartvelos-pirvel-arkhze-10/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;
- Ibenskas, Raimondas & Polk, Jonathan. 2021. Party Responsiveness to Public Opinion in Young Democracies. *Political Studies*. pp. 1-20;
- Kitschelt, Herbert. 2007. Party Systems. In: Boix C and Stokes SC (eds) *The Oxford Handbook of Comparative Politics*. Oxford: Oxford University Press, pp.522–555.
- Lebanidze, Bidzina. 2021. Radicalization of Georgian Party Politics: in Search of Long-term Stability. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/radicalization-of-georgian-party-politics-in-search-of-long-term-stability/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;
- Minesashvili, Salome. 2021. Why do Georgian Political Parties Struggle to Negotiate? Structural Disincentives to Compromise-Based Politics. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/why-do-georgian-political-parties-struggle-to-negotiate-structural-disincentives-to-compromise-based-politics/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;
- NDI, 2022. საზოგადოების განწყობა საქართველოში - 2021 წლის დეკემბრის სატელეფონო გამოკითხვის მთავარი მიგნებები. ხელმისაწვდომია:

[https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fuit4N68-grEeyXDZp8qMZEft\\_nf-nlmGsH7lix6FOKgWF9v5xEU72M0](https://drive.google.com/file/d/1wKcT8fc9QPpAZsMe2foTzeizVEg9wUc7/view?fbclid=IwAR1fuit4N68-grEeyXDZp8qMZEft_nf-nlmGsH7lix6FOKgWF9v5xEU72M0) ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

OSCE, 2018. საქართველო - საპრეზიდენტო არჩევნები 2018 წლის 28 ოქტომბერი და 28 ნოემბერი, ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია საბოლოო ანგარიში. ხელმისაწვდომია:

<https://www.osce.org/files/f/documents/a/c/414827.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

OSCE, 2020. GEORGIA PARLIAMENTARY ELECTIONS 31 October 2020 ODIHR Limited Election Observation Mission Final Report. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/1/4/480500.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

OSCE, 2021. INTERNATIONAL ELECTION OBSERVATION MISSION Georgia – Local Elections, Second Round, 30 October 2021. ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/8/c/502704.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

Radiotavisupleba. 2021. კალაძე უარს ამბობს ოთხი ტელევიზიის შეთავაზებაზე, მელიასა და გახარასთან დებატებში მონაწილეობაზე. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31455383.html> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

Rossiter, Erin. 2021. The Consequences of Interparty Conversation on Outparty Affect and Stereotypes. ხელმისაწვდომია: <https://erossiter.com/files/conversations.pdf> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

Samkharadze, Nino. 2020a. Inter-party Negotiations in a Time of Crisis: What Hinders an Effective Dialogue? ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/inter-party-negotiations-in-a-time-of-crisis-what-hinders-an-effective-dialogue/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

Samkharadze, Nino. 2020b. A Look Beyond the Red Lines in Georgian Politics: 5 Major Risks Following the Annulment of the April 19 Agreement. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/a-look-beyond-the-red-lines-in-georgian-politics-5-major-risks-following-the-annulment-of-the-april-19-agreement/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

Sharashenidze, Kartlos. 2021. „საკაშვილი და ივანიშვილი პოლარიზებას უწყობენ ხელს“ - კრამერი. ხელმისაწვდომია: <https://www.amerikiskhma.com/a/for-the-opposition-saakashvili-remains-a-powerful-figure-but-he-s-also-a-very-polarizing-figure-as-is-mr-ivanishvili/6250602.html> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

Tskipurishvil, Natia. 2020. დღეს პარლამენტში შესვლა პირდაპირ “ქართულ ოცნებაში” შესვლას ნიშნავს — უგულავა. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/494552/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

Tsutskiridze, Levan. 2021. ეს არის პოლიტიკური რევანშისა და გადარჩენის ცხოველური ინსტინქტი — ლევან ცუცქერიძე. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/521572/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022;

Tsutskiridze, Levan & Kvashilava, Bakur. 2022. ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/opinion/586940/> ბოლოჯერ ნანახია: 6 აპრილი, 2022;

Zurabashvili, Teona. 2020. Party Identity as the Basis for Splinter Party Electoral Success. ხელმისაწვდომია: <https://gip.ge/publication-post/party-identity-as-the-basis-for-splinter-party-electoral-success/> ბოლოჯერ ნანახია: 5 აპრილი, 2022.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



Schweizerische Eidgenossenschaft  
Confédération suisse  
Confederazione Svizzera  
Confederaziun svizra

Embassy of Switzerland in Georgia

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტისა“ და „საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საელჩოს“ შეხედულებებს.

#### დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, *“თანამშრომლობის პრობლემა ქართულ პოლიტიკურ პარტიებში: რას ითხოვს ამომრჩეველი?”*  
პოლიტიკის ნარკვევი #38, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, აპრილი 2022.

© Georgian Institute of Politics, 2022  
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia  
Tel: +995 599 99 02 12  
Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)  
For more information, please visit  
[www.gip.ge](http://www.gip.ge)